

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №

ქ. თბილისი

-----/-----/2019 წ.

### დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს **2019 წლის 23 მაისის (ოქმი №40)** გადაწყვეტილების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ **დავით ჯიქიას** (პირადი №**35001024618**), რომელიც **2016 წლის 12 ოქტომბრის №3444/05** ბრძანებით ჩაირიცხა სტუ-ის დოქტორანტურაში და რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - ინფორმატიკა, სადისერტაციო თემა - **„ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემა“**.

სადისერტაციო კოლეგია:

1. პროფ. სურგულაძე გია, თავმჯდომარე, სტუ
2. პროფ. ჩაჩანიძე გურამ, ხელმძღვანელი, სტუ;
3. ასოც. პროფ. ოდიშარია კორნელი, რეცენზენტი, სტუ;
4. აკად. დოქტ. ბასილაძე გიორგი, გარე რეცენზენტი, „ხალიკ“ ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი;
5. პროფ. პეტრიაშვილი ლილი, სტუ;
6. პროფ. სუხიაშვილი თეიმურაზ, სტუ;
7. პროფ. ოხანაშვილი სვიმონ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარე წევრი;
8. აკად. დოქტ. ყვირალაშვილი ალექსანდრე, „ლიბერთი“ ბანკის გურჯაანის ფილიალის დირექტორი, მოწვეული წევრი;
9. ასოც. პროფ. დიდმანიძე იბრაიმ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი.

2. დისერტაციის დაცვა შედგეს **2019 წლის 17 ივლისს 14<sup>00</sup>** საათზე, სტუ-ის **VI** კორპუსის **309ა** ოთახში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი